საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF PSYCHOLOGY AND EDUCATIONAL SCIENCES

N 7/26
25/06/2020

7-26-4-202006251956

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე, 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში დასკვნითი გამოცდებისა და სამაგისტრო დაცვების ჩატარების წესის განსაზღვრის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის 135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და 21–ე მუხლის მე–6 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2012 წლის 12 ივლისის N84/01-01 ბრძანების „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ და რექტორის 2020 წლის 12 ივნისის N107/01-01 ბრძანების, „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 - 2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის გამოცდების დისტანციურად ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასკვნითი გამოცდები და სამაგისტრო დაცვები განხორციელდეს მხოლოდ LMS, e-learning აკადემიური პლატფორმებისა ZOOM აპლიკაციის საშუალებით.
2. დასკვნითი გამოცდების ჩატარების ფორმატი და წესი
   1) დასკვნითი წერითი გამოცდები ტარდება სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვადასხვა ფორმატით: ტესტური (ღია/დახურულ კითხვიანი, მრავლობით პასუხიანი), ღია კითხვები, ესე, ქეისი ან მათი კომბინირებით;

2) შეფასების სისტემა (სასწავლო კურსების სია, დასკვნითი გამოცდის ფორმატი, შეფასების მეთოდის, კრიტერიუმების და ჩატარების პლატფორმის მითითებით) მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოზე;
3) ზეპირი და წერითი გამოცდის კომბინაციის შემთხვევაში ზეპირი გამოცდა ტარდება zoom აპლიკაციით. ამ შემთხვევაში, სტუდენტის თანხმობით, ხორციელდება გამოცდის მსვლელობის ჩაწერა. სტუდენტის უარის შემთხვევაში, ვერ მოხდება სააპელაციო განაცხადის მიღება აღნიშნული საგნის ზეპირ კომპონენტზე;
4) ფაკულტეტზე ბაკალავრიატის დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ჩატარების გრაფიკის ორგანიზებას ახორციელებს საგამოცდო ცენტრი, ხოლო სამაგისტრო გამოცდების გრაფიკის ორგანიზებას ახორციელებს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური საგნის პედაგოგებთან შეთანხმებით;
5) კონკრეტულ კურსზე დისტანციურად (LMS, e-learning ან zoom პლატფორმაზე) გამოცდის ჩატარების წესებს პედაგოგები სემესტრის დასრულებისთანავე წერილობით წინასწარ წარუდგენენ სტუდენტებს აკადემიურ პლატფორმაზე (LMS, e-learning).

3. გამოცდის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფა
   1) გამოცდების ორგანიზებულად, დისტანციურად ჩატარების მიზნით ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორგანიზებას უწევს შემდეგი ტიპის ინფორმაციის შეგროვებას: შესაბამის სემესტრში განხორციელებული სასწავლო კურსების სია დასკვნითი გამოცდის ფორმატის (ზეპირი/წერითი/შერეული), შეფასების მეთოდის (ტესტი, პრაქტიკული/თეორიული დავალება, პრეზენტაცია და სხვა) და შეფასების კრიტერიუმის და მისი ჩატარების პლატფორმის მითითებით; იმ სასწავლო კურსების ჩამონათვალი, რომელთა დასკვნითი გამოცდის დავალებათა შესამოწმებლად საჭიროა პროგრამა Turnitin-ის გამოყენება;
   2) გამოცდების დისტანციურ რეჟიმში სტუდენტის მონაწილეობის ტექნიკური შეუძლებლობის ყოველი ინდივიდუალური შემთხვევის განხილვას უზრუნველყოფს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური სტუდენტის მომართვის საფუძველზე. ამ შემთხვევაში გამოცდის ორგანიზება მოხდება ფაკულტეტზე საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით;
   3) თუ სტუდენტს გამოცდის მსვლელობის დროს დაუფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი (დენის, ინტერნეტის გათიშვა), მაშინ იგი ინფორმაციას დაუყოვნებლივ აწვდის პედაგოგს ან ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, ხოლო 24 საათის განმავლობაში LMS-ის საშუალებით აგზავნის განცხადებას საგამოცდო ცენტრში და ფაკულტეტზე. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შემთხვევაში სტუდენტი 24 საათის განმავლობაში ინფორმაციას აწვდის პროგრამის ხელმძღვანელს და ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

6. გამოცდის გადავადება, საგამოცდო ნაშრომების შეფასების გასაჩივრება, სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში გამოცდების შედეგების დაფიქსირება, საჩივრის განხილვა და გადაწყვეტა.
   1) გამოცდის გადავადება, გამოცდების შედეგების შეფასების ვადები, სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში გამოცდების შედეგების დაფიქსირება, რეგულირდება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და თსუ რექტორის ბრძანებით N182/01-01, 26.12.2013;
   2) ძირითად გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში შესაბამის დამატებით გამოცდაზე გასვლა დასაშვებია საგამოცდო ცენტრისათვის ელექტრონული ბაზის საშუალებით (lms.tsu.ge) გაგზავნილი მიმართვის საფუძველზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამატებით გამოცდამდე დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას სტუდენტის დამატებით გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს საგამოცდო ცენტრი.

7. საგამოცდო ნაშრომების შეფასების გასაჩივრება.
   1) სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის გამოქვეყნებიდან 2 სამუშო დღის ვადაში მიმართოს ფაკულტეტის სასაწავლო პროცესის მართვის სამსახური (ელექტრონული ბაზის საშუალებით – lms.tsu.ge) და მოითხოვოს ნაშრომის გაცნობა და შედეგების გადასინჯვა;
   2) ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური განცხადების/საჩივრის მიღების ვადის ამოწურვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს განაცხადის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სააპელაციო კომისია/ლექტორისთვის, რომელიც თავის მხრივ 2 სამუშო დღის ვადაში უზრუნველყოფს აპელაციის დასკვნის მიწოდებას ფაკულტეტის უფლებამოსილი თანამშრომლისათვის;
   3) საგამოცდო ნაშრომის საბოლოო შეფასებას სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში აფიქსირებს პედაგოგი.
8. საგამოცდო ტესტის/მასალის გავრცელება - საგამოცდო ტესტის/მასალის გავრცელების შემთხვევაში ფაკულტეტს უფლება აქვს აღძრას სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების საფუძველზე.
9. სამაგისტრო ნაშრომების დაცვა
   1) სამაგისტრო ნაშრომების დაცვა ხორციელდება დისტანციურად, zoom-აპლიკაციის გამოყენებით.
   2) სამაგისტრო ნაშრომების დაცვის ოქმი შეივსება ელექტრონულად.
   3) დისტანციურ რეჟიმში სტუდენტის მონაწილეობის ტექნიკური შეუძლებლობის შემთხვევაში მომდევნო სემესტრში სასწავლო პროცესის დაწყებამდე დაცვაზე დამატებით გასვლა დასაშვებია დეკანის სახელზე სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე.
   4) სამაგისტრო ნაშრომების დაცვა რეგულირდება ფაკულტეტის სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურით.

10. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება, დაევალოს ფაკულტეტის კანცელარიას.
11. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

თამარ გაგოშიძე

დეკანი
ადმინისტრაცია